ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 331

ქალაქი ქუთაისი 30 ოქტომბერი 2024 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების,
პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით,
სააქციო საზოგადოება „სილქნეტისათვის" სარგებლობაში გადაცემის თაობაზე,
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის
შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის „დ.დ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 21 ოქტომბრის №44–4424295386 წერილობითი მომართვის შესაბამისად:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, სააქციო საზოგადოება „სილქნეტისათვის" (საიდენტიფიკაციო კოდის №204566978), პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, განკარგულების დანართში ჩამოთვლილი ქონების (გარე განათების კონსტრუქციის (ბოძი) წერტილები), 5 (ხუთი) წლის ვადით სარგებლობაში გადაცემის თაობაზე.

(დანართი განკარგულებას თან ერთვის)

მუხლი 2. ქონების წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „აუდიტორულ კომპანია ალსოს" შორის 2022 წლის 11 თებერვალს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №57 ხელშეკრულების საფუძველზე, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „აუდიტორული კომპანია ალსოს" მიერ წარმოდგენილი დასკვნის (04.03.2022 წელი, №06/03) შესაბამისად, რომელიც შეადგენს 240.0 (ორას ორმოცი) ლარს.

მუხლი 3. სააქციო საზოგადოება „სილქნეტმა" (საიდენტიფიკაციო კოდის №204566978) სარგებლობაში გადაცემული 48 (ორმოცდარვა) ერთეულ გარე განათების კონსტრუქციაზე (ბოძი) წერტილი გამოიყენოს

საქართველო ქ. ქუთაისის
ს ა კ რ ებ ულ ო
31 გას. № 175
10 2024 წ.

საკომუნიკაციო ქსელის მოსაწყობად, 1 (ერთი) ერთეული კაბელის გატარებისათვის, უსაფრთხოების ნორმებისა და ტექნიკური ექსპლუატაციის წესების სრული დაცვით. სამუშაოების შესრულების შემდგომ უზრუნველყოს აღდგენითი სამუშაოების წარმოება.

მუხლი 4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა უზრუნველყოს იჯარის ხელშეკრულების მომზადება და გაფორმება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებით.

მუხლი 5. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 7. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე _____ ირაკლი შენგელია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2024 წლის 30 ოქტომბრის
№331 განკარგულების დანართი

სააქციო საზოგადოება „სილქნეტისათვის“ (საიდენტიფიკაციო კოდის №204566978)
პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით,
სარგებლობაში გადასაცემი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში
არსებული ქონების ჩამონათვალი

№	მისამართი	ქონების დასახელება	გარე განათების კონსტრუქციაზე (ბოძის) წერტილის რაოდენობა	საკადას-ტრო კოდი
1.	ქალაქი ქუთაისი, გაპონოვის ქუჩა, №42-ის მიმდებარედ	გარე განათების კონსტრუქცია (ბოძი)	2	03.00.325
2.	ქალაქი ქუთაისი, კუპრაძის ქუჩის მიმდებარედ	გარე განათების კონსტრუქცია (ბოძი)	4	03.00.032
3.	ქალაქი ქუთაისი, სოლომონ I-ის ქუჩის №76-დან ქალაქი ქუთაისი, სოლომონ II-ის ქუჩის №40-მდე	გარე განათების კონსტრუქცია (ბოძი)	18	03.00.015
4.	ქალაქი ქუთაისი, თამარ მეფის ქუჩისა და საკანდელიძის ქუჩის მიმდებარედ	გარე განათების კონსტრუქცია (ბოძი)	2	03.00.058
5.	ქალაქი ქუთაისი, სოლომონ II-ის ქუჩა, №39-დან №63-მდე	გარე განათების კონსტრუქცია (ბოძი)	15	03.00.015
6.	ქალაქი ქუთაისი, ნიკეას ქუჩა, №11–ის მიმდებარედ	გარე განათების კონსტრუქცია (ბოძი)	7	03.00.086
	სულ		48	

საკრებულოს თავმჯდომარე _____ ირაკლი შენგელია